ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GCF-10

ქ. თბილისი

24 მაისი, 2017 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის ია პაპიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს „კომპანია GEOSM“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეიმურაზ ახობაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მ.ასათიანის N14; ს/კ: 404873614, ტელ: 599500702; 2729119; სს "პროკრედიტ ბანკი", კოდი# MIBGGE22, ა/ა # GE45PC0223600100010827

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის, ელემენტებისა და დისკების **(CPV 30192000 - საკანცელარიო ნივთები); (CPV-22851000 - ბაინდერები) (CPV-22816100 - ბლოკნოტები) (CPV-31440000 -ელემენტები) (CPV-30197630 - საბეჭდი ქაღალდი) (CPV-30234000 - ინფორმაციის შესანახი საშუალებები) (CPV- 30237251 - კომპიუტერის გასაწმენდი კომპლექტები)** (შემდგომში "საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება მწვანე კლიმატის ფონდის **(GCF)** მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში.

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1438,99 (ერთი ათას ოთხასოცდათვრამეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. **დღგ-ს ჩათვლით.**

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ფასი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ. ფასი
1	საბეჭდი ქაღალდი A3 Double A 80გ	შეკვრა	10	17.44	174.4
2	კალამი ბურთულიანი ღილაკით - PILOT	ცალი	100	1.57	157
3	ფანქარი HB	ცალი	100	0.23	23
4	სათლელი ორმაგი - კონტეინერით	ცალი	20	0.67	13.4
5	საშლელი კვადრატული	ცალი	20	0.4	8
6	ელემენტი AAA SONY Alkalin	ცალი	20	0.86	17.2
7	ელემენტი AA	ცალი	20	0.86	17.2
8	ლამინატორის ფირი 125მკმ A3 (100ცალი)	შეკვრა	2	49.12	98.24
9	წებოვანი ჩასანიშნი ფორმები 100 ფურცელი	ცალი	40	1.21	48.4
10	წებოვანი გვერდის მოსანიშნი პლასტიკური 175 ფურცელი 12X45მმ	ცალი	30	1.31	39.3
11	ბიზნეს ორგანაიზერი ტყავის ყდით 240X175მმ	ცალი	20	16.5	330
12	სკოჩი შესაფუთი Deli გამჭირვალე 36.მ 45მმ	ცალი	20	1.05	21
13	სკოჩი ორმხრივი 9.1 მ 24 მმ	ცალი	20	0.99	19.8

14	კლიპი 51 მმ	ცალი	20	0.3	6
15	კლიპი 19 მმ	ცალი	20	0.07	1.4
16	კლიპი 32 მმ	ცალი	20	0.14	2.8
17	ფაილი ECONOM-სერია A4,	შეკვრა	50	2.31	115.5
18	CD კონვერტი	ცალი	200	0.07	14
19	კონვერტი A5 160X230მმ	ცალი	100	0.14	14
20	კონვერტი A4 240X320მმ	ცალი	100	0.17	17
21	LCD/TFT/PDA მონიტორის საწმენდი (100 ცალიანი სალფეთქით)	შეკვრა	20	5.32	106.4
22	CD-R 52X 700MB	ცალი	100	0.52	52
23	DVD-R 16X 4.7 გბ	ცალი	100	0.7	70
24	ბაინდერი ვიწრო A4 Geosm - მწვანე	ცალი	20	2	40
25	სამდივნო დაფა ორმაგი A4	ცალი	5	6.59	32.95

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2. საქონლის მოწოდების ადგილია ნუცუბიძის ფერდობი მე-2 მ/რ, ჟღენტის ქ. #35.

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შემოწმებით დგინდება მიწოდებული საქონლის, ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი მირიან ცარციძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი მირიან ცარციძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს `შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე. მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 3 ივლისამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე

მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

`შემსყიდველი~	`მიმწოდებელი~
სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“	შპს ,,კომპანია GEOSM“
ია პაპიაშვილი დირექტორი	თეიმურაზ ახობაძე დირექტორი